ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის
ოქმი № 21

ქ. თბილისი, 14 ნოემბერი, 2024 წელი

სხდომა გახსნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.
ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი
სხდომას ესწრებოდა 23 ხმის უფლების მქონე წევრი

დღის წესრიგი:

1. თსუ კურსდამთავრებულებისათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი/

2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

/ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ.
მ. ლობჟანიძე/

3. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემის ცვლილების შესახებ

/ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ.
მ. ლობჟანიძე/

4. ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსის პირობებისა და ჩატარების წესში ცვლილებების შესახებ

/ ფაკულტეტის დეკანი, პროფ. გ. ღაღანიძე/

5. მიმდინარე საკითხები

1. **მოისმინეს:** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, **პროფესორ გიორგი ღაღანიძის** ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით

2. **მოისმინეს:** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ასოცირებული პროფესორის მარინა ჩავლეიშვილის ინფორმაცია თსუ კურსდამთავრებულთა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

ა. **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მარინა ჩავლეიშვილმა** აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ეკონომიკის საერთაშრისო სკოლის ((ISET) დირექტორის თამარ სულუხიას წერილი (N 29584/29/ 29584-29-3-202411041511) აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ, **მიენიჭოს ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი** თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

დიპლომი წარჩინებით - 1 (ერთი) კურსდამთავრებული:

№	გვარი, სახელი	პირადი ნომერი
1	**კობერიძე ლიკა**	62005031434

დიპლომი ჩვეულებრივი - 3 (სამი) კურსდამთავრებული:

1.	**ლაზაძე ანა**	01001091366
2	**გველესიანი ირაკლი**	01001082543
3	**ქამუშაძე ჯემალ**	01001090626

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: **მიენიჭოს ეკონომიკის კურსდამთავრებულის/ბაკალავრის ხარისხი** თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

დიპლომი წარჩინებით - 1 (ერთი) კურსდამთავრებული:

№	გვარი, სახელი	პირადი ნომერი
1	**კობერიძე ლიკა**	62005031434

დიპლომი ჩვეულებრივი - 3 (სამი) კურსდამთავრებული:

1.	**ლაზაძე ანა**	01001091366
2	**გველესიანი ირაკლი**	01001082543

3 ქამუშაძე ჯემალ 01001090626

ბ. **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მარინა ჩავლეიშვილმა** აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ეკონომიკის საერთაშრისო სკოლის ((ISET) დირექტორის თამარ სულუხიას წერილი (N 29584/29/ 29584-29-3-202411041511) აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ, **მიენიჭოს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი** თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET)-ის 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ეკონომიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს:

დიპლომი ჩვეულებრივი - 2 (ორი) კურსდამთავრებული:

№	გვარი, სახელი	პირადი ნომერი
1.	ლომაია ტარიელ	60001160096
2.	მჭედლური დავით	01027088406

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს
გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიენიჭოს ეკონომიკის მაგისტრის **აკადემიური ხარისხი** თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ეკონომიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს:

დიპლომი ჩვეულებრივი - 2 (ორი) კურსდამთავრებული:

№	გვარი, სახელი	პირადი ნომერი
1.	ლომაია ტარიელ	60001160096
2.	მჭედლური დავით	01027088406

3. **მოისმინეს:** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის ასოცირებული პროფესორის მანანა ლობჟანიძის ინფორმაცია დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ
   1. *სალომე კობახიძე - „მწვანე ეკონომიკის ფორმირებისა და განვითარების პერსპექტივები საქართველოში"*
      მეცნიერ-ხელმძღვანელი: *პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი*
   2. *ლალი ყიფშიძე - "ჯანდაცვის ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში"*
      მეცნიერ-ხელმძღვანელი: *ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბერიშვილი*
   3. *ალექსანდრე შულაია - „ციფრული ტრანსფორმაციის გავლენა ფირმების ბიზნესმოდელებზე"*

მეცნიერ-ხელმძღვანელი: *ასოცირებული პროფესორი ლალი ხიხაძე*

აზრი გამოთქვეს: პროფ. რ.გველესიანმა, პროფ. გ.ღაღანიძემ, პროფ. ლ.საბაურმა

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტებისათვის წარმოდგენილი სადისერტაციო თემა და მეცნიერ- ხელმძღვანელები.

4. **მოისმინეს:** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის ასოცირებული პროფესორის მანანა ლობჟანიძის ინფორმაცია, ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტისათვის სადისერტაციო თემის ცვლილების შესახებ.

1. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ *ანა ფოლოდაშვილის* სადისერტაციო თემის დასახელება: *„უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების კლასტერის ეკოსისტემის ფორმირების მექანიზმები საქართველოში"* ნაცვლად, დამტკიცდეს: *„უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების კლასტერის ფორმირების გამოწვევები და დაძლევის გზები საქართველოში"*.

2. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ *ვალერიანე ჯოხაძის* სადისერტაციო თემის დასახელება: *„მოდელების რისკების შეფასება"* ნაცვლად, დამტკიცდეს: *„ფინანსური მოდელების რისკების შეფასება"*.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ, სადისერტაციო თემის ხელმძღვანელმა ასოცირებულმა პროფესორმა ინეზა გაგნიძემ

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტებისათვის წარმოდგენილი სადისერტაციო თემა.

5. **მოისმინეს:** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, **პროფესორ გიორგი ღაღანიძის** ინფორმაცია ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსის პირობებისა და ჩატარების წესში ცვლილებების შესახებ.

დაადგინეს: ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსის პირობებისა და ჩატარების წესის მე-2 მუხლის, მე-9 და მე-11 პუნქტში შევიდეს ცვლილებები:

მუხლი 2. კონკურსის თემატიკა და ბიუჯეტი

9. პროექტის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში პროექტის მიმღებმა ჯგუფმა უნდა წარმოდგენოს წერილობითი დასტური სამეცნიერო ნაშრომის: ა)სტატია ბ)მონოგრაფია

გამოქვეყნების თაობაზე, მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევით პროექტში მონაწილე ყველა აკადემიური პერსონალის ჩართულობით.

სტატია - რომელიც უნდა დაიბეჭდოს: იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer- reviewed ჟურნალში; ან რეფერირებად/რეცენზირებად (რაც დასტურდება შესაბამისი საერთაშორისო კლასიფიკატორით ან სხვა საერთაშორისო დოკუმენტით) ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში (რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის, EBSCO-ს, ERIH PLUS-ის და Web of Science (WoS)-ის ბაზა. ბაზაში), ან საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში (რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან EBSCO-ს ან ERIH PLUS-ის და/ან Web of Science (WoS)-ის ბაზაში), ან საზღვარგარეთ გამოცემულ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე. წ. Proceedings), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან EBSCO-ს ან ERIH PLUS-ის და/ან Web of Science (WoS)-ის ბაზაში).

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ფარგლებში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი უნდა გამოიცეს მხოლოდ პროექტში ჩართული აკადემიური პერსონალის ავტორობით.

11. პროექტში ჩართული პროფესორისა ან/და ასოცირებული პროფესორის ან/და ასისტენტ-პროფესორის ჯამური შრომის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის 80%-ს. პროექტით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის ან პროექტის მნიშვნელოვანი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პროფესორისა ან/და ასოცირებული პროფესორის ან/და ასისტენტ-პროფესორის მიერ მიღებული შრომის ანაზღურება ექვემდებარება უკან დაბრუნებას.

6. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კონსულტანტის იურიდიულ საკითხებში ***დავით მახვილაძის*** ინფორმაცია, მოქალაქე დ. ნიჟარაძის წერილის შესახებ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინიციატივით, დაისვა საკითხი და საბჭოს ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარედ აირჩია დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე.

კონსულტანტმა იურიდიულ საკითხებში დ. მახვილაძემ ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 15 ოქტომბრის №1327171 წერილზე თანდართული დ. ნიჟარაძის განცხადების სრული შინაარსი.

დ. მახვილაძის განმარტებით, დ. ნიჟარაძის განცხადებაში დაფიქსირებულ ყველა იმ საკითხზე, რომლის განხილვის უფლებამოსილება აქვს სთუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს, უკვე ნამსჯელი და დეტალურად განხილულია საბჭოს მიერ წინა პერიოდში (03.04.2024; საბჭოს სხდომის ოქმი #9). შესაბამისად, კონსულტანტის მიერ განემარტა ფაკულტეტის საბჭოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 102-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად,

„1. განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.
2. თუ განცხადებაში არ არის მითითებული ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი, ადმინისტრაციული ორგანო განცხადების განუხილველად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განცხადებაზე უარის თქმის შესახებ. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზედაც უარი ითქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე."

აზრი გამოთქვეს: აკადემიკოსმა ა. სილაგაძემ და პროფესორმა ლ. საბაურმა.
აკადემიკოს ა. სილაგაძის მიერ აღინიშნა, რომ აუცილებელია განხილულ იქნეს დ. ნიჟარაძის განცხადებაში დაფიქსირებულ საკითხებთან დაკავშირებით, საბჭოს მიერ წინარე პერიოდში მიღებული გადაწყვეტილების ხელახალი განხილვის მიზანშეწონილობა და საბჭოს მიერ კენჭისყრით იქნეს მიღებული ეს გადაწყვეტილება.

პროფესორ ლ. საბაურმა აღნიშნა, რომ მისთვის, როგორც აკადემიური თანამდებობის პირისთვის, ისევე როგორც სრულიად აკადემიური წრისთვის, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტისთვის შეუფერებელია ტერმინები, რომელიც არაერთგზის არის გამოყენებული დ. ნიჟარაძის განცხადებებში.

მსურველთა მიერ მოსაზრებების გამოხატვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარის, ასოცირებული პროფესორის მ. ლობჟანიძის მიერ ღია კენჭისყრაზე დადგა საკითხი: დავით ნიჟარაძის განცხადებაში დაფიქსირებულ საკითხებთან დაკავშირებით, საბჭოს მიერ წინარე პერიოდში მიღებული გადაწყვეტილების ხელახალი განხილვის მიზანშეწონილობის თაობაზე.

კენჭისყრის დროს სხდომას ესწრებოდა 23 წევრი.

ჩატარდა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 0
წინააღმდეგი - 23

ფაკულტეტის საბჭოს კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით, საბჭომ მიზანშეწონილად არ ჩათვალა დ. ნიჟარაძის განცხადებაში დაფიქსირებულ საკითხებთან დაკავშირებით, საბჭოს მიერ წინარე პერიოდში მიღებული გადაწყვეტილების ხელახალი განხილვა.

სხდომის თავმჯდომარის, ასოცირებული პროფესორის მ. ლობჟანიძის მიერ, ღია კენჭისყრაზე დადგა საკითხი ფორმულირებით, დაევალოს ფაკულტეტის ადმინისტრაციას უნივერსიტეტის რექტორისათვის წერილის მომზადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის სამართლებრივი საფუძვლის გამოყენებით.

კენჭისყრის დროს სხდომას ესწრებოდა 23 წევრი.

ჩატარდა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

ფაკულტეტის საბჭოს კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით, საბჭომ დაავალა ფაკულტეტის ადმინისტრაციას უნივერსიტეტის რექტორისათვის წერილის მომზადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის სამართლებრივი საფუძვლის გამოყენებით.

1. დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ მომავალი წლისათვის გავითვალისწინოთ რექტორის, აკადემიკოს ჯაბა სამუშიას აზრი, რომ მე-10 საიუბილეო კონფერენცია მიეძღვნას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხებს (ბულგარეთი, რუმინეთი, პოლონეთი და ა.შ.).
   რექტორის ინიციატივით, დამატებით გამოიყოფა თანხები საგრანტო კონკურსებისთვის;
2. დაწყებულია მუშაობა და გამოყოფილია თანხები, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ აისახოს Scopus-ის ან Web of Science ბაზებში დაახლოებით 2-2,5 წელიწადში. მიმდინარეობს მუშაობა ინგლისური კომპონენტის და დიზაინის გაძლიერებაზე;
3. დაიწყო მუშაობა ორგანიზაციული სტრუქტურების რეორგანიზაციაზე, შეიძლება მოხდეს ფაკულტეტის საბჭოს ოპტიმიზაცია, ხშირად გვაქვს ფაკულტეტის საბჭოს ქვორუმის პრობლემა, განსაკუთრებით ეხებათ სტუდენტებს, რადგან საგამოცდო პერიოდია;
4. პროფესორმა თემურ შენგელიამ წამოაყენა წინადადება, რომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის წესით არჩევა შეიცვალოს აკადემიური პერსონალის ატესტაციით;
5. მენეჯერმა ფინანსურ საკითხებში აკაკი მიქაბერიძემ წარმოადგინა ინფორმაცია, სასტუმრო ,,ჰილტონის“ ხელმძღვანელის მიერ, ტურიზმის მიმართულების ბაკალავრიატის (მე-3 ან მე-4 კურსი) ერთი წარჩინებული სტუდენტისათვის სტიპენდიის გაცემის შესახებ.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი — გ. ღაღანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი — გ. ერქომაიშვილი